საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

01.09.2023

N 1615

1615-09-02-11-3-
202309011346

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/51, 10.08.2023)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2023 წლის 1 სექტემბრის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილულ იქნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/51, 10.08.2023).

I. საკანონმდებლო ცვლილების ძირითადი არსი

საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 3 ივლისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ასევე ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტშიც.

აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, 2023 წლის 22 ივლისიდან გაუქმდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო, შესაბამისად უფლებამოსილება შეუწყდა მრჩეველთა საბჭოს წევრებსაც.

საკანონმდებლო ცვლილებებით გაიზარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისათვის ასარჩევად წარსადგენი მეურვეების კანდიდატთა რაოდენობა. კერძოდ, ახალი რეგულაციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს მეურვეობის სამ კანდიდატს, ნაცვლად ერთისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე რეგლამენტის პროექტის თანახმად, ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტიდან ამოღებული იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსთან

დაკავშირებული ნორმები, ხოლო მეორე მხრივ გაიწერება უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისათვის ასარჩევად წარსადგენი 3 მეურვის კანდიდატურის არჩევის პროცედურა.

II. რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით წამყვან კომიტეტში შენიშვნები და წინადადებები არ არის წარმოდგენილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. საკანონმდებლო ცვლილების შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტთან - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

კომიტეტი დადებითად აფასებს წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიღებას.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე